

პროსტატის სიმსივნეების განვითარების ზოგიერთი უჯრედული და მოლეკულური მექანიზმი

პროფესორი ნანული კოტრიკაძე

ელ-ფოსტა: nanuli.kotrikadze@tsu.ge

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, ბიოლოგიის დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
უნივერსიტეტის ქ.13.

პროსტატის სიმსივნეები მამაკაცთა ონკოლოგიურ დაავადებებს შორის პირველ ადგილს იკავებს და პოლიეთიოლოგიურ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება. პროსტატის სიმსივნეებით ძირითადად ასაკოვანი მამაკაცები (65-75წელი) ავადდებიან, თუმცა ბოლო პერიოდში სტატისტიკა მიუთითებს პროსტატის კიბოთ დაავადებულთა ასაკის გაახალგაზრდავებაზე. აღნიშნული კვლევების მიზანს წარმოადგენს პროსტატის სიმსივნეების განვითარების სხვადასხვა ასპექტების კვლევა, როგორც უჯრედულ, ასევე მოლეკულური დონეზე.

წარმოდგენილი ფუნდამენტური კვლევის შედეგები მნიშვნელოვან სიახლეს შეიტანს ონკოლოგიის, როგორც დარგის უკვე არსებულ მონაცემებში პროსტატის სიმსივნური ტრანსფორმაციისა და პროგრესირების შესახებ. რაც ერთი მხრივ მკურნალობის სწორი და ეფექტური ტაქტიკის შერჩევას შეუწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ კი გააადვილებს დაავადების პრევენციას და ახალი სადიაგნოსტიკო ტესტ-მეთოდის შემუშავებას.

ლიტერატურა:

- [1] Nelson WG, De Marzo AM, and Isaacs WB. Mechanisms of Disease: Prostate Cancer. N Engl J Med, **349** (2003) 366-381;
- [2] Higuchi M, Kudo T, Suzuki S, Evans TT. Mitochondrial DNA determines androgen dependence in prostate cancer cell lines. Oncogene **25** (2006), 1437-1445.